

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-1/282, 13.05.2011) „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 20 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე(კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ვეფხვაძე** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**პაატადავითაია** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**აკაკი მინაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

**ვახტანგ ბალავაძე** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**ხათუნა გოგორიშვილი** – საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე

**პეტრე ცისკარიშვილი** – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

**გიორგი თარგამაძე** – საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

**გიორგი ახვლედიანი** – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

**ჩიორა თაქთაქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**კახაბერ ანჯაფარიძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნიკოლოზ ლალიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**რატი მაისურაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯონდო ბაღათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**დიმიტრი მაგნიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

**ირაკლი ბურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

**დავით კერესელიძე** – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

**ქეთევან ქოქრაშვილი** – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე **დ. ბაქრაძე**

თბილისი,  
2011 წლის 17 მაისი.  
№4674-III

## საქართველოს პრეზიდენტი

### საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლისა და 102-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტს.

**მ. სააკაშვილი**

*პროექტი*

### საქართველოს კონსტიტუციური კანონი

#### საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.12.2009, მუხ. 157) შეტანილი იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** საქართველოს კონსტიტუციას (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) დაემატოს შემდეგი შინაარსის 48<sup>1</sup> მუხლი:

##### „**მუხლი 48<sup>1</sup>**

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.  
2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

**მ. სააკაშვილი**

### განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ 2009 წლის 24 სექტემბრის №1674-III კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციას დაემატა 48<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი და ქ. ქუთაისი, ხოლო პარლამენტის პლენარული სხდომები იმართება მხოლოდ ქ. ქუთაისში. შესაბამისად, სრულყოფილი და სტაბილური საკანონმდებლო საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია პარლამენტი ფუნქციონირებდეს ერთ ქალაქში. კონსტიტუციური კანონი ითვალისწინებს, რომ პარლამენტი ქ. ქუთაისში შეიკრიბება და მუშაობას დაიწყებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია როგორც ხელისუფლების სამართლიანი დანაწილების პრინციპისთვის

რეგიონალიზმის ელემენტების მინიჭება – პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში რეგიონების როლის გაზრდა, ასევე საქართველოს უმველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის - ქუთაისის როლის მეტად წარმოჩინება, მისი სტატუსის ამაღლება და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიური ჩართვა. ამასთან, საკანონმდებლო აქტივობის მხოლოდ ერთ ქალაქში კონცენტრირება ხელს შეუწყობს საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფილებას და სტაბილურობას, დედაქალაქსა და რეგიონებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დამოკიდებულების ბალანსს, პარლამენტის როლის გაზრდას, კანონის პატივისცემის განმტკიცებას, დასავლეთ საქართველოში საჯაროსამართლებრივი მომსახურების ხარისხის და ადმინისტრაციული რესურსის გაუმჯობესებას, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, საინვესტიციო სფეროს გაფართოებას.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ 2009 წლის 24 სექტემბრის №1674-III კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული 48<sup>1</sup> მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით და საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრება ქალაქი ქუთაისი. ამასთან, პარლამენტი ქ. ქუთაისში შეიკრიბება და მუშაობას დაიწყებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

##### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

##### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

#### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება მსგავს ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

#### **ბ.ვ) კანონპროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის დაწესებას.

#### **გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

##### **გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

#### **გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

##### **გ.გ) კანონპროექტის მიმართება ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

#### **დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს პრეზიდენტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პრეზიდენტი.